## პროგრამის შინაარსი

შედეგების მიღწევა შესაძლებელია მოცემული შინაარსის საფუძველზე:

1. **ინფორმაციის გაგება, ანალიზი და შეფასება**

**ძირითადი თემატიკა:**

**ლექსიკოლოგიური ასპექტი:** ლექსიკური ფონდის შევსება: სპეციალური ლექსიკა და ტერმინოლოგია; სიტყვათა სემანტიკური კავშირების (სინონიმის, ანტონიმის, ლექსიკური ბუდეების...) აქტიურად, შემოქმედებითად გამოყენება; ერთი სემანტიკური ჯგუფის სიტყვების კონტექსტურად შერჩევა; სიტყვათა ლექსიკური კავშირები (სიტყვაწარმოების საწყისი წესები, ახალ სიტყვათა წარმოქმნა); რთული შედგენილობის სიტყვები; სიტყვის მრავალმნიშვნელიანობა.

**გრამატიკული ასპექტი:** სახელის ბრუნვისა და ზმნის პირის ნიშნებთან დაკავშირებული ორთოგრაფიის წესები; სივრცული, დროითი და მიზეზ-შედეგობრივი მიმართებების გამომხატველი ენობრივ-გრამატიკული საშუალებების ურთიერთმიმართება; სიტყვათა ძირითადი კლასები (მეტყველების ნაწილები) და მნიშვნელოვანი სინტაქსური მიმართებები სიტყვათა შორის; სიტყვის მორფოლოგიური აგებულება საწყის დონეზე; სასვენი ნიშნები.

2. **ენის კომუნიკაციური ასპექტები**

**ძირითადი თემატიკა:** საკომუნიკაციო ამოცანა და მისი გადაჭრის ხერხები; ჯგუფური აქტივობა (როლის შესრულება / მოკლე ზეპირი გამოსვლა); ენის სხვადასხვა ფუნქციური სტილი (სასაუბრო, სალიტერატურო) და მათი გამოყენების სფეროები; მიზნობრივი ტექსტები (აზრა, რეკლამა, პლაკატი, რეცეპტი, სამახსოვრო წესები, ინსტრუქცია, სხვადასხვა ხასიათის წერილები), მათი ჩაწერისა და გაფორმების წესები.

3. **მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა**

**ძირითადი თემატიკა:** თემატიკა ფართოვდება; სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა ცხოვრება, სათავგადასავლო ნაწარმოებები, დიდაქტიკური თხზულებები, ფანტასტიკა, იუმორისტული და სატირული ნაწარმოებები; ყოფითი, პატრიოტული და ჰეროიკული თემები.

**საკითხავი მასალა:** ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერება; ნიმუშები მსოფლიოს ხალხთა ფოლკლორიდან: ზღაპრები, თქმულებები, ლეგენდები, მითები (ქართული, ბერძნული, რომაული და სხვ.); თანამედროვე ქართულით გამართული სხვადასხვა პერიოდის ნაწარმოებები, ლიტერატურული ზღაპრები (ქართველი და უცხოელი მწერლების), ლექსები და პროზაული თხზულებები; მარტივი საინფორმაციო / შემეცნებითი ტექსტები; სხვადასხვა სახის არამხატვრული ტექსტები.